ქართული ცივილიზაცია მსოფლიო პროცესების კონტექსტში

თამარი დევიძე
სტუ-ს ასოც. პროფესორი
E-mail: tamari.devidze@mail.ru,
ნინო ჟღენტი
შპს „ალტრა ვიტა", მენეჯერი
E-mail: ghgentti@mail.ru

რეზიუმე

ქართველი ერი ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი თვითმყოფადობით, კულტურით, ტრადიციებითა თუ სხვა მრავალი ასპექტით. ისტორიის მანძილზე საქართველოში ვითარდებოდა მედიცინა, მაღლდებოდა საზოგადოებრივი თვითშეგნება, ისახებოდა ეკონომიკის პირველი ნიშნები და მოღვაწეობდნენ უდიადესი ქართველი ლიდერები, რომელთაც შექმნეს საქართველოს ისტორია და გადმოსცეს შთამომავლობას თავისი ცოდნა და გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, გენეტიკა, ლიდერობა.

ქართველ ერს უძველესი თვითმყოფადი სამედიცინო კულტურა და ტრადიციები გააჩნია. ქართველი ერის ისტორიული განვითარების ნამდვილი სურათის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა ქართული მედიცინის ისტორიის გარეშე, ჩვენს ქვეყანას უადრესად მრავალფეროვანი სამედიცინო კულტურა ჩამოუყალიბებია, ანტიკური ხანის ქართულმა მედიცინამ წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სიტყვა მედიცინა დაკავშირებულია კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის ქალიშვილის, მედეას სახელთან, რომელიც თავისი ეპოქის სახელგანთქმულ მკურნალად ითვლება.

ქართული საავადმყოფოები არსებობდა ჯერ კიდევ V საუკუნიდან, ადრეფეოდალური ხანის (VI-X საუკ.) პირველი საუკუნეებიდანვე აღინიშნებოდა სამედიცინო მომსახურების ძირითადი ფორმები, კერძოდ, მოხუცთა და უძლურთა თავშესაფრები, საავადმყოფოები, სამედიცინო-კულტურული კერები სამეფო და სავაჭრო ქალაქებში, დიდ ფეოდალთა სარეზიდენციო ქალაქებსა და საეკლესიო -კულტურულ ცენტრებში. XIII-XV საუკუნეებში გამუდმებული შემოსევების შედეგად საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დაკნინებასთან ერთად მოისპო და განადგურდა ბევრი სამედიცინო კერა და მედიცინის ისტორიაში, ისევე როგორც ქვეყნის ისტორიაში ეს ეპოქა დაცემის პერიოდის სახელწოდებით შევიდა.

აღდგენის პერიოდში (XVI-XVIII საუკ.) პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სამედიცინო მოღვაწეობის აღდგენასა და განვითარებას. ერეკლე მეორე დიდ ყურადღებას აქცევდა სამედიცინო საქმის განვითარებას, მფარველობდა კათოლიკე მისიონერებსა და ხელს უწყობდა მათ საექიმო საქმიანობას, იწვევდა უცხოეთიდან, კერძოდ, კონსტანტინეპოლიდან გამოცდილ ექიმებს.

XIX საუკუნის ქართული მედიცინა ხასიათდება სამედიცინო-სანიტარული მომსახურების ორგანიზაციისა და საავადმყოფო საქმის განვითარებით, ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით, საკურორტო-ბალნეოლოგიური რესურსების ათვისება-გამოყენებით, ხალხური მედიცინის ტრადიციების გაგრძელებით.

ამ პერიოდში ეკონომიკის განვითარებას მოჰყვა პოლიტიკის და კულტურის განვითარება

რა ტიპის "ეკონომიკა" ჰქონდა საქართველოს, ერთი მხრივ, აღზევების პერიოდებში?!! ... ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიის ყველაზე რთულ მონაკვეთებში; როგორ ახერხებდა ქვეყანა ძლიერი სამეფოდან მისულიყო განადგურების პირას და შემდეგ კვლავ აღმდგარიყო და გაძლიერებულიყო!!!!

დავით აღმაშენებელმა დასახა საქართველოს განვითარების და აღორძინების გეგმის ზოგადი კონტურები, განახორციელა არსებული სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმა, ააგო სრულიად ახალი სახელმწიფო სისტემა. (1089-1110 წლები). თბილისი ევროპაზე ადრე იგებდა აზიურ ინოვაციას და აზიელებზე ადრე ევროპულს, რაც თავის მხრივ. თავად თბილისში ქმნიდა საუცხოო გარემოს ახალ კულტურულ - სამეცნიერო ტენდენციათა გასავითარებლად.

უცხოელთათვის დიფერენცირებული გადასახადების წყალობით თბილისი "აბრეშუმის გზის" ერთ - ერთ ცენტრად იქცა, რაც გულისხმობდა იმას, რომ სწორედ აქ იყო კონცენტრირებული სავაჭრო-საბანკო ორგანიზაციები; თბილისელი ორთალები (ბანკირები) პროცენტიანი კრედიტებით დიდძალ მოგებას ნახულობდნენ; სწორედ, აქ აწარმოებდნენ დიდ სავაჭრო გარიგებებს როგორც ევროპელები, ასევე აზიელები.

საქართველო იმ დროისათვის მსოფლიოს სავაჭრო მაგისტრალს წარმოადგენდა და იგი „აბრეშუმის გზის" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო. დავით აღმაშენებელს საქართველოს ძველი დედაქალაქის შემოერთება, მისი ინფრასტრუქტურისა და მაღალკატეგორიის ვაჭარ-ხელოსნური კადრების ძირითადი ნაწილის შენარჩუნებით სურდა.

საქართველო დღესაც ისევე საინტერესოა დანარჩენი სამყაროსათვის, როგორც ძველ დროში იყო. ის დღესაც წარმოადგენს ევროპის და აზიის გასაყარზე მდებარე უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოს. "აბრეშუმის გზა" კვლავ აქტუალურია, თუმცა, ამჯერად არა მარტო არა აბრეშუმისა და სანელებლების გასატანად, არამედ როგორც გაზის, ნავთობის და სხვა უამრავი პროდუქტის გასატარებლად.

წარსული ყოველთვის გვასწავლის ყველაზე სწორ გზას, ამიტომაც ვღრმავდებით მასში, ვსწავლობთ მათ რეფორმებს და ვადარებთ დღევანდელობას, ვფიქრობთ, რომ ზუსტად იგივე რეფორმები თანამედროვეობაში გატარებული დაეხმარება საქართველოს. ჩვენ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას ვხედავთ ევროპის ერთიან ბაზართან დაახლოების კონტექსტში.

ლიდერად ვერ დაიბადები, ლიდერი უნდა გახდე. რატომღაც თითოეული ქართველის ხასიათში ზის ეს პირველობა აქვს ამის რესურსი თუ არა, ამიტომაც დავინტერესდით გამოგვეკვლია ქართველების ისტორია საიდან მოვდივართ, წავაწყდით რა ქართველი ერის სიძველეს, მმართველობის ხელოვნებას საუკუნეების წინ, ჩვენთვის გასაგები აღმოჩნდა ქართული ხასიათი, თუ რატომ სურს ყველა ქართველს პირველობა ....აი, აქ არის გენეტიკა.... ქართული უნიკალური გენის უკვდავება.

იყო ლიდერი, ნიშნავს იყო გამორჩეული, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ შენ ხალხმა გამოგარჩია და მადლიერი უნდა იყო მათი, სწორედ მათ შეამჩნიეს შენი ნიჭიერება და სწორად დააფასეს ის.

შეიძლება გასწავლონ წერა, თუმცა ვერ გასწავლიან ლექსის შექმნას, შეიძლება გასწავლონ სიმღერა, მაგრამ ვერ მოგცემენ ხმას და სმენას, შეიძლება მოხვდე საჭირო დროს საჭირო ადგილას, მაგრამ ვერ გააკეთო ის, რასაც გთხოვენ. შანსი ვერ გამოიყენო. შეიძლება ხალხმა შენდა გასაკვირად ლიდერად აგირჩიოს, მაგრამ ვერ გაუკეთო მათ ის, რასაც ლიდერისგან ითხოვენ.

ქართველებს ბევრი ლიდერი გვყავს, თითქოს გენეტიკაში ჩადებული კოდია გასავითარებელი, ამიტომ ვფიქრობთ, ლიდერობა წლებთან ერთად მოდის, გამოცდილება ყველაზე საუკეთესო იარაღია. ცხოვრება თავად არის გამოცდა, თუ კარგად ჩავაბარებთ ... სულ წინ და წინ ...

ჩვენი ეკონომიკის ისტორიულმა განვითარებამ გადაგვაწყვეტინა წარსულში გვემოგზაურა, გამოგვეკვლია ქართველების გენეტიკის სიძველე. ეს, პირველ რიგში, განაპირობა დავით აღმაშენებელის პიროვნებამ. და წავაწყდით გენის უნიკალურობას. ქართული გენეტიკური პათოლოგია: არ ჰყავდეს უფროსი, თვითონ ბატონობდეს.

ანატოლი კლიოსოვი, მეცნიერებათა დოქტორი, ბოსტონის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი: - დნმ-ს ძალიან დიდი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია ჩვენს წინაპრებზე. უნდა შედგეს მსოფლიოს რუკა: ვინ საიდან წარმოიშვა, როგორ გადაადგილდებოდა... კავკასიისა და საქართველოს ისტორია ძალიან საინტერესოა ჩვენთვის, რა ხალხებისგან შედგება კავკასია, რით განსხვავდებიან... რომ განსხვავდებიან, ეს თვალნათელია! აისახება თუ არა, ეს დნმ-ში?

2001 წლის ნობელის ლაურეატმა პოლ მორისმა, ამგვარი პროგნოზი გააკეთა: "სულ რაღაც 20 წლის შემდეგ ყოველ ახალ დაბადებულს გენეტიკური პასპორტი გადაეცემა. უფრო ზუსტად, მეტრიკა, სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია მისი გენეტიკური მახასიათებლების შესახებ".

გენეტიკური კვლევის მეთოდები საქართველოშიც არის დანერგილი, თუმცა გენეტიკური პასპორტის აღება აზრად ჯერ არავის მოსვლია. საზღვარგარეთ ეს ანალიზი 712 ათასი დოლარი ღირს და მიუხედავად მაღალი ფასისა, ამ უჩვეულო პასპორტის მიღების მსურველთა რიცხვი საოცრად დიდია.

ვანო ნასიძე წავიდა გერმანიაში და იქ მუშაობდა ამ საკითხებზე. ის იყო ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომლის ციტირებაც ხდება მთელ მსოფლიოში. 2013 წელს, 48 წლის ასაკში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მან შეისწავლა საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილი და ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა, თუმცა მის მიერ შესწავლილი მონაცემები არასაკმარისია, რომ თამამად ილაპარა-

კო მთელ ერზე. მისი შრომებით დადგინდა, რომ ჩვენში ძირითადად ორი ჰაპლო ჯგუფია გავრცელებული - G2a (უფრო მეტად) და J2a.

თეიმურაზ ლეჟავა (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გენეტიკის კათედრის ხელმძღვანელი). აღნიშნავს: ჩემს შვილს, ალექსანდრეს, რომელიც გენეტიკოსია და იაპონიაში მოღვაწეობს, იაპონელმა კოლეგებმა ქართული გენეტიკის შესწავლა შესთავაზეს. ამისთვის მათ სამი თაობის 60 წმინდა სისხლის ქართველის ნიმუში გავუგზავნეთ. შესწავლა უკვე მიმდინარეობს, მალე გვეცოდინება, როგორი დამცველობითი უნარი აქვს ჩვენს გენოტიპს. სხვათა შორის, ამგვარი კვლევა ირანშიც ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ დამცავი გენებით ფერეიდანელი ქართველები ევროპელებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ირანელებს.

პირველად ქართველთა წინაპარი გამოჩნდა წმიდა წიგნში "დაბადება"-ში წარღვნის და კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ. (დაბ. 10,2-5). დედამიწაზე თავდაპირველ ხალხებს, ტომებს და ცივილიზაციებს იაფეტის ძეებთან ერთად ქართველთა წინაპრებმაც დაუდეს საფუძველი ნოე + იაფეტი + თუბალი = დასახლდნენ ზღვის პირად თითოეული თავისი ენით, თავისი ტომის მიხედვით. ამიტომ არის, რომ პირინეის ნახევარკუნძულის მოსახლეობა, ეხლანდელი ესპანეთი, G2a გენეტიკას ატარებს ანუ მსგავსია.

სიმონ ჯანაშიამ ქართული ეთნოსის შესახებ კონცეფცია ასე ჩამოაყალიბა: აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთი სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან. ხეთები ცხოვრობდნენ მცირე აზიაში, სუბარებს ეჭირათ ტერიტორია ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე.

ვილჰემ ჰუმბოლტის გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე:

- პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა;
- ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა.

ერთი სიტყვით, ბუნებრივი გარემო და ადამიანთა ცხოვრების წესი საოცარ ურთიერთკავშირშია. უფრო მეტიც, ურთიერთგანმსაზღვრელია. შესაბამისად, ცხადია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, გეოგრაფიულ კოორდინატებთან შედარებით, ისეთ ფაქტორებს როგორიცაა: გენეტიკა, ანთროპოლოგია, რელიგიური მრწამსი და გეოპოლიტიკური მახასიათებელი. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს ამა თუ იმ ერის კულტურულ თავისებურებას და ქმნის საფუძველს მისი შემდგომი განვითარებისა თუ დეგრადაციისთვის... სწორედ ამ ფაქტორების პარალელური შესწავლის შედეგად ყალიბდება კომპლექსური მოძღვრება - ეროვნული იდეოლოგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშმაძე ვ. ქართული ინტელექტუალური ფენომენები. თბ., 1992.
2. გამსახურდია ზ. საქართველო სულიერი მისია. თბ. 1991.
3. კვირკველია გ. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბ., 1976.
4. ლეჟავა თ. ადამიანის გენეტიკა. თბ., 2007.
5. მასხარაშვილი ს. მატიანე ქართველთა. თბ., 2006.
6. მეტრეველი რ. კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბ.,2007.
7. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი 12 ტომად, ტ. IV, VIII, IX, XI, XII. თბ., 1996-1998.

GEORGIAN CIVILIZATION IN THE CONTEXT OF WORLD PROCESSES

TAMARI DEVIDZE - Assoc. professor of GTU
E-mail: tamari.devidze@mail.ru,
NINO GHGENTI - „ALTRA VITA" LTD, MANAGER
E-mail: ghgentti@mail.ru

Summary

The Georgian nation has been distinguished from its originality, culture and traditions or other aspects. Throughout history there was developed medicine , public self-consciousness, was the first signs of the economy and the greatest Georgian leaders who have created history of Georgia and delivered their knowledge and experience in post. Georgian people inhereted all leadership skills from their great ancestors and ae trying to keep up with them. This effort may at one day can have good results. That is all matter of future.